

№1გ/860-17



## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით  
საჩივრის დაკამოფილებაზე უარის თქმის შესახებ

22 ივნისი 2017 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ბრალდებულ ლ. წ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუმშებლად ცნობის შესახებ, თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 ივნისის განჩინებაზე, ბრალდებულ ლ. წ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. გ.-ს საჩივარი და

### გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

თელავის რაიონულ სასამართლოში 2017 წლის 25 მაისს კახეთის საოლქო პროკურატურიდან განსახილველად შევიდა სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმე, ბრალდებულ ლ. წ.-ს მიმართ (დაბ.: 19XX წლის XX იანვარს, პ/ნ XXXXXXXXXXXX), დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით - განზრახ მკვლელობის მცდელობა და სსკ-ის 120-ე მუხლით, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია.

აღნიშნულ საქმეზე, 2017 წლის 20 იანვარს 13:15 საათზე ბრალდებულად დაკავებულ ლ. წ.-ს 2017 წლის 22 იანვარს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით. თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 22 იანვრის განჩინებით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ზემდგომი სასამართლოს მიერ.

საბოლოოდ, 2017 წლის 24 მაისს ლ. წ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლითა და ამავე კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.



მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2017 წლის 10 ივნისს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე, თელავის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული იქნა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხიც, რა დროსაც დამტკიცდა დაცვის მხარის მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა, დაცვის მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე ჩამოყალიბებული მოცემულობით, გარდა შემდეგი მტკიცებულებებისა: მოწმეების ლ. წ.-ს, ნ. ბ.-ს, ზ. კ.-ს, ე. რ.-ს, გ. ფ.-ს, მ. გ.-ს, გ. დ.-ს, ა. დ.-ს გამოკითხვის ოქმები; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი; ს.პ.ს „ჯ. ჰ.-დან“ გამოთხოვილი ცნობა 127, სამედიცინო დოკუმენტი-ფორმა 100; საექსპერტო დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი.

განჩინების მიხედვით სასამართლო მიუთითებს საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც დაცვის მხარე სასამართლოში აპირებს, ხოლო ინფორმაციის გაცვლის მოთხვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისთვის სრული მოცულებით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში მოიპოვება თებერვლის თვის და 17 მარტის მტკიცებულებათა გაცვლის ოქმები, სადაც ბრალდების მხარე დაცვის მხარეს თხოვს იმ დროისათვის მათ ხელთ არსებული ინფორმაციის გადაცემას, ამასთან, მტკიცებულებათა გაცვლის ოქმის მიხედვით ოქმი შედგენილ იქნა სრულად და დაცვის მხარეს მასში არანაირი დაზუსტების შეტანა არ სურდა, რასაც ადასტურებს ხელმოწერით, თუმცა ადვოკატის მიერ არცერთ შემთხვევაში არ მომხდარა ბრალდების მხარისთვის მტკიცებულებათა გადაცემა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი მოწმეების ლ. წ.-ს, ნ. ბ.-ს, ზ. კ.-ს, ე. რ.-ს, გ. ფ.-ს, მ. გ.-ს, გ. დ.-ს, ა. დ.-ს გამოკითხვის ოქმები, ასევე შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, მიმართვის წერილი, სპს „ჯ. ჰ.-დან“ გამოთხოვილი ცნობა და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. შესაბამისად დასახელებული მოწმეები ამორიცხულ იქნენ დასაკითხ პირთა სიიდან, ისევე როგორც ექსპერტები. (იხ.განჩინება)

ზემოაღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ბრალდებულ ლ. წ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ვ. გ.-მ. წარმოდგენილი საჩივრით ადვოკატი ითხოვს თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 ივნისის განჩინების გაუქმებას, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ნაწილში და დასახელებული მტკიცებულებების დასაშვებად ცნობას.

საჩივრის მიხედვით, დაცვის მხარე მიუთითებს საქართველოს სსსკ-ის 94-ე მუხლზე და განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებები არამართო ხელს უწყობს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, არამედ მთლიანად ავსებს იმ ხარვეზს, რაც ბრალდების მხარემ გამოძიების მიმდინარეობისას დაუშვა და ადასტურებს ბრალდებული პირის უდანაშაულობას. კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატი მიუთითებს, რომ სადაო განჩინებით ბრალდების მხარის იურიდიულად



დაუსაბუთებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება არის უსაფუძვლო, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს. კერძოდ მართალია, ბრალდების მხარე აპელირებდა საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევაზე, თუმცა საქმის მასალებში არ მოიპოვება არცერთი დოკუმენტი, რომელიც პროკურორის შუამდგომლობის საფუძვლიანობას დაადასტურებდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ უნდა დაზუსტდეს თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები მთლიანი ნორმის შინაარსთან მიმართებაში, ვინაიდან თუ გასაჩივრებული განჩინების ლოგიკას მივყვებით გამოდის, რომ იმ შემთხვევაში თუ დაცვის მხარე არ მოითხოვს ინფორმაციის გადმოცემას ბრალდების მხარისგან, მაშინ ბრალდებულისთვის ბრალდების წარდგენის შემდეგ მას არ უნდა გადაეცეს ის მტკიცებულებები, რომელიც საფუძვლად დაედო მის ბრალეულობას. ამასთან სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომამდე მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულებების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ, მაშასადამე კანონი მიუთითებს შესაძლებლობაზე და არა ისეთ ვალდებულებაზე, რაც გამოძიების სტადიაზე მოპოვებული მტკიცებულების მაინცდამაინც საოქმო გაცვლას გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში მივიღებდით გაჭიანურებულ საგამოძიებო პროცესებს, რადგან რამდენ საგამოძიებო მოქმედებასაც ჩაატარებს ბრალდების მხარე, იმდენჯერ უნდა შედგეს ოქმი მტკიცებულებათა გაცვლაზე და პირიქით. ამ სტადიაზე კანონმდებელი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი ინფორმაციული ან დოკუმენტალური გაცვლა იყოს შესაძლებელი და არა შეზღუდული ან აკრძალული. გარდა ამისა, სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი მეორე და მესამე ნაწილები მოქმედებას იწყებს მხოლოდ მაშინ თუ არსებობს დაცვის მხარის მოთხოვნა და იგი წერილობით მიმართავს ბრალდების მხარეს ინფორმაციის გაცვლის თაობაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაინც არ იქნება რაღაც დროში შეზღუდული ვალდებულების ამოქმედება. მაგალითად, მიუხედავად იმისა რომ დაცვის მხარემ ბრალდების მხარეს არაერთხელ სთხოვა მისთვის გადაეცა ნივთმტკიცება ექსპერტიზის ჩასატარებლად ბრალდების მხარემ სრულიად ობიექტური მიზეზით, იმის გამო, რომ აღნიშნული ნივთმტკიცება უკვე წარდგენილი იყო ბალისტიკურ ექსპერტიზაზე ვერ მოახერხა ადვოკატისთვის სრული მოცულობით გადაეცა იმ ეტაპისთვის მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება რაც არ წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას, მითუფრო, რომ თავად სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ნორმა მიუთითებს მხარეთა შესაძლებლობაზე და არა უპირობო ვალდებულებაზე, ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ „იმ მომენტში მის ხელთ არსებული ინფორმაციის გადაცემა“ ნიშნავს მტკიცებულებათა არა დაუყოვნებლივ გადაცემას არამედ შესაძლებლობის მიხედვით გადაცემას. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ დაცვის მხარემ მტკიცებულებათა მოპოვება დაიწყო 2017 წლის 02 თებერვლიდან, რომელიც გამოკვლევისთვის მთლიანად გადაეცა ექსპერტიზას და ამ პერიოდში ობიექტურად შეუძლებელი მათი გადაცემა-გაცვლა ბრალდების მხარისთვის. მართალია, ექსპერტიზა დასრულდა 2017 წლის მარტის დასაწყისში, მაგრამ საჭირო იყო გონივრული დრო რათა ამ მტკიცებულებების საფუძველზე შედგენილიყო დასაბუთებული შუამდგომლობა კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე, რომელიც შეტანილ იქნა 2017 წლის 14 მარტს და ბრალდების მხარეს მესამე დღეს გადაეცა სრულად. კონკრეტულ შემთხვევაში როგორც საქმის მასალებით ირკვევა მტკიცებულებათა გაცვლის თაობაზე ადვოკატ ლ. გ.-ს



შუამდგომლობა დათარიღებულია 2017 წლის 31 იანვრითა და 2017 წლის 20 თებერვლით, ამ პერიოდისთვის კი ადვოკატს მოპოვებული არ ჰქონია რაიმე ინფორმაცია ან მტკიცებულება და ცხადია ბრალდების მხარეს ვერაფერს გადასცემდა. საგულისხმოა, რომ 2017 წლის თებერვლის დასაწყისიდან ბრალდებულის მეორე ადვოკატი ვ. გ. 2017 წლის დასაწყისიდან აწარმოებდა საგამომიებო მოქმედებებს და ატარებდა ექსპერტიზებს, აღნიშნული ექსპერტიზები დასრულდა 2017 წლის მარტის დასაწყისში და ამავე ადვოკატის მიერ პროკურატურაში შეტანილ იქნა შუამდგომლობა კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობით ბრალდების მხარეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ დაცვის მხარეს მოპოვებული ჰქონდა შესაბამისი მტკიცებულებები, ანუ ამ შუამდგომლობით ფაქტობრივად შესრულებულ იქნა მოთხოვნა და დაცვის მხარემ პროკურატურას მიაწოდა ინფორმაცია მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების თაობაზე; 2017 წლის 17 მარტს ბრალდებულის ადვოკატმა ლ. გ.-მ ბრალდების მხარეს წარუდგინა და გადასცა ყველა ის მტკიცებულება რაც იმ დროისთვის ჰქონდა მოპოვებული დაცვის მხარეს და ამდენად დაცული იქნა სსსკ-ის 83-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების მოთხოვნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ ხელი არ უნდა შეუწყოს ხელოვნური პრობლემების შექმნას და უნდა შეეცადოს მოქნილი და ეფექტური გახადოს ნორმის მიზანი, რომელიც მხარეთა ინტერესების დაცვას ემსახურება, მითუმეტეს, როცა კანონი არ მიუთითებს ვალდებულების შესრულების კონკრეტულ დროს ან ვადას. შესაბამისად დაცვის მხარე ითხოვს დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების დასაშვებად ცნობას. (ვრცლად იხ. საჩივარი)

წარმოდგენილი საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილ საჩივარში მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული დაცვის მხარის არგუმენტები და მოსაზრებები. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგიის შეფასებით რაიმე საკითხი დამატებით, ზეპირი მოსმენით დაზუსტებას არ საჭიროებს და წარმოდგენილი მასალები სრულიად საკმარისია საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის დისკრეციის (უფლებამოსილების) ფარგლებში, საგამომიებო კოლეგიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაცვის მხარის საჩივარი, შეისწავლა და გააანალიზა წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიიჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ საჩივრდება ზემდგომ სასამართლოში და საჩივარი, საქმის მასალებსა და წინასასამართლო სხდომის ოქმთან ერთად ეგზავნება სააპელაციო სასამართლოს.



საკითხის განხილვისას, საგამომიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ხოლო ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

დაცვის მხარის საჩივართან დაკავშირებით, საგამომიებო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს, ე.ი აღნიშნული ნორმა, სიტყვასიტყვითი განმარტებით, თავის მხრივ დაცვის მხარესაც აკისრებს ბრალდების მხარისთვის მტკიცებულებათა გადაცემის ვალდებულებას თუ არსებობს ბრალდების მხარის შესაბამისი მოთხოვნა, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისთვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას, ანუ კანონმდებელმა მიიჩნია მტკიცებულების ძალის მქონე ინფორმაციის კანონით პირდაპირ დადგენილი წესის დაცვით გაცვლა, ხოლო მისი დაუცველობა წარმოადგენს კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული მოთხოვნის არსებით დარღვევას, რაც ამ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას იწვევს. სასამართლო მიუთითებს, რომ დასახელებული ნორმის მიზანს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო მიზნების განხორციელების ხელშეწყობა და სამართლიანი სასამართლო განხილვისათვის წინაპირობის შექმნა, რათა მხარეებმა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირობებში შეძლონ ეფექტურად განახორციელონ საკუთარი პოზიციების დაცვა. საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლი ინფორმაციის გაცვლის პროცედურას ერთის მხრივ უკავშირებს მხარეთა



მოთხოვნას, ხოლო მეორეს მხრივ ითვალისწინებს მტკიცებულებათა სავალდებულო წესით გაცვლას მე-6 ქ/პუნქტის მიხედვით წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ბრალდების მხარის უფლება მასალების გამოთხოვაზე ნაწარმოებია დაცვის მხარის უფლებიდანაც, ანუ წინასასამართლო სხდომამდე ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება გარდა არსებულისა, ბრალდების მხარეს აძლევს შესაძლებლობას მოითხოვოს დაცვის ხელთ არსებული მტკიცებულებების მისთვის გადაცემა თუ დაცვის მხარე მოითხოვს ბრალდებისაგან მოპოვებულ მტკიცებულებათა გადაცემას. შესაბამისად, საჩივრის მოტივთან დაკავშირებით, რომ ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა გადაეცა დაცვის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რითაც შესრულებულ იქნა სსსკ-ის 83-ე მუხლის როგორც მე-2, ასევე მე-6 ნაწილების მოთხოვნები, საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა როგორც პროცედურულად, ასევე სამართლებრივად აბსოლუტურად დამოუკიდებელია ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნისაგან, ვინაიდან იგი ადგენს მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის ვალდებულებას და დამოკიდებულია მხარის მოთხოვნაზე, რომელიც წარმოიშობა დაცვის მხარის მიერ ბრალდების მხარისთვის შესაბამისი მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში, მას შემდეგ რაც დაკმაყოფილებულ იქნა ბრალდებულ ლ. წ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობები ბრალდების მხარის მასალების სრული მოცულობით გაცნობის თაობაზე, ადვოკატი პროკურორის მოთხოვნის შესაბამისად ვალდებული იყო მოთხოვნის დროს წარედგინა ბრალდების მხარისთვის იმ პერიოდისთვის უკვე მოპოვებული მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

კერძოდ, როგორც საქმის მასალებით დასტურდება ლ. წ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის ლ. გ.-ს მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე 2017 წლის 21 თებერვალს, ისევე როგორც 17 მარტს, ასევე დამატებით 18 მაისსა და 25 მაისს დაცვის მხარეს სრული მოცულობით გადაეცა ბრალდების მხარის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებები, რის თაობაზეც კანონით დადგენილი წესით შედგა შესაბამისი ოქმები, ამავე ოქმებით დაცვის მხარეს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მიეცა წინადადება იმ ეტაპისთვის მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ბრალდების მხარისთვის გადაცემის შესახებ, თუმცა დაცვის მხარის მიერ აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ხელმოწერით ადასტურებს ოქმების სრულად და სწორად შედგენის ფაქტს და რაიმე ცვლილება/დამატება/დაზუსტება მათში არ შეუტანია. მართალია, საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ დროისათვის ადვოკატ ლ. გ.-ს მოპოვებული არ ჰქონია რაიმე მტკიცებულება, ვინაიდან 2017 წლის თებერვლის თვიდან მოწმეთა გამოკითხვას თუ სხვა საგამომიებო მოქმედებებს აწარმოებდა ბრალდებულის მეორე ადვოკატი გ. გ., თუმცა საგამომიებო კოლეგია ამ მხრივ დაეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს და აღნიშნავს, რომ დაცვის მხარეში მოიაზრება ყველა ის პირი/ადვოკატი ვინც სისხლის სამართლის საქმეზე უშუალოდ და კანონშესაბამისად იცავს ბრალდებულის ინტერესებს და საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლით



გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს თუ კონკრეტულად რომელი ადვოკატის მიერ იქნა მოპოვებული ესა თუ ის მტკიცებულება. ამასთან, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ დაცვის მხარეს გარკვეული მტკიცებულებები, რომლებიც დაუშვებლად იქნა ცნობილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ნაწილი მოპოვებული აქვს მიმდინარე წლის 19 თებერვლამდე პერიოდში, ხოლო ბრალდებულ ლ. წ.-ს გამოკითხვის ოქმი, საექსპერტო დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი 2017 წლის 13 მარტამდე პერიოდში, შესაბამისად, დასახელებულ შემთხვევაში რა დროსაც ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა ბრალდების მხარეს მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების დაცვის მხარისთვის გადაცემის თაობაზე, დაცვის მხარეს მტკიცებულებათა სახით უკვე გააჩნდა მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, სპს „ჯ. ჰ.-დან“ გამოთხოვილი ცნობა 127, სამედიცინო დოკუმენტი ფორმა 100, საექსპერტო დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის წარდგენაც ბრალდების მხარისთვის შეეძლო და ვალდებულ იყო გაეცვალა, ამ უკანასკნელის მოთხოვნის მიუხედავად, თუმცა დაცვის მხრიდან მტკიცებულებების გაცვლა არ მომხდარა. გარდა ამისა, მხედველობაში ვერ იქნება მიღებული ადვოკატის მიერ საჩივრით წარმოდგენილი არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ თებერვლის თვეში მოპოვებული მტკიცებულებები გამოკვლევისთვის სრულად იქნა წარდგენილი საექსპერტო კვლევაზე და ამ პერიოდში ობიექტურად შეუძლებელი იყო მათი გაცვლა-გადაცემა ბრალდების მხარისთვის, ვინაიდან როგორც თავად ადვოკატი მიუთითებს ექსპერტიზა დასრულდა მარტის დასაწყისში, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ 2017 წლის 17 მარტის ოქმით ბრალდების მხარემ უკვე მეორედ გამოიყენა მისთვის კანონით მინიჭებული უფლება და ადვოკატს მოსთხოვა 17 მარტამდე დროის პერიოდში მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის ბრალდების მხარისთვის გადაცემა რაც დადასტურებულია ოქმის ჩანაწერზეც, დაცვის მხარის მიერ არანაირი მტკიცებულება ბრალდების მხარეს არ გადასცემია, ხოლო ადვოკატის აპელირება იმის თაობაზე, რომ მას ჭირდებოდა გონივრული დრო მარტის დასაწყისში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დასაბუთებული შუადგომლობის შესადგენად, რამაც განაპირობა ბრალდების მხარისთვის ამ მასალების გადაუცემლობა, არ შეესაბამება საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, მითუფრო, რომ ინფორმაციის გადაცემაში კანონმდებელი მოიაზრებს საქმის შესაბამისი მასალების გადაცემას ასლების სახით და არა უშუალოდ დედნების გაცნობის შესაძლებლობის, პირობების შექმნას.

დამატებით, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული ადვოკატის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ 2017 წლის 14 მარტს კახეთის საოლქო პროკურატურაში შეტანილი კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ შუამდგომლობით ბრალდების მხარეს მიეწოდა ინფორმაცია დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების თაობაზე, რაც მიიჩნევა სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვად. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ ერთის მხრივ დასახელებული ნორმა პირდაპირ განსაზღვრავს მხარის ხელთ არსებული მტკიცებულებების მეორე მხარისთვის გადაცემის ვალდებულებას მოთხოვნის მომენტისათვის და არა შემდგომ მისი სურვილის მიხედვით წინასასამართლო სხდომამდე ხუთი დღით ადრე, მეორეს მხრივ კი სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეებს შორის



ინფორმაციის გაცვლის თაობაზე დგება ოქმი, რომელიც ეგზავნება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად. შესაბამისად დაცვის მხარის მოქმედება უნდა შეფასდეს საპროცესო კანონის დარღვევად, ვინაიდან არ არის შესრულებული საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული იმპერატიული დათქმა და მოთხოვნა. ამასთან, საქმის მასალებით არ იკვეთება რაიმე გარემოება და არც დაცვის მხარეს დაუსახელებია ბრალდების მხარისთვის ინფორმაციის წარუდგენლობის საფუძვლიანი არგუმენტი.

შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა გადაწყვეტია არა ის, მტკიცებულებები მოპოვებულია თუ არა კანონის დაცვით ან კანონის არსებითი დარღვევით, არამედ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მოპოვებული მტკიცებულებები მეორე მხარისათვის კანონით დადგენილი წესებისა დაცვით იქნას მიწოდებული. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით ბრალდების მხარე ვალდებულია დაცვის მხარეს გადასცეს მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი, მეექვსე და მერვე ნაწილების მიხედვით და ამ ნაწილებით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას, ხოლო ამავე მუხლის მეორე, მესამე ნაწილები ასევე ავალდებულებს დაცვის მხარეს ბრალდების მხარეს გადასცეს მოთხოვნის შემთხვევაში იმ მომენტისათვის მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს ამ მტკიცებულებების დაუშვებლობას, ზოგადად ამავე მუხლის მეექვსე ნაწილიც ავალდებულებს დაცვის მხარეს მოპოვებული მტკიცებულებები გადასცეს ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა მხარის მოთხოვნა, სწორედ დასახელებული გარემოება განასხვავებს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმატიულ შინაარსს ამ ნორმის სხვა პუნქტებთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგამომიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია უსაფუძვლოა ხსენებული მტკიცებულებების დასაშვებად ცნობისათვის, ვინაიდან სახეზეა სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მოთხოვნათა დარღვევა. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას მოცემულ საქმეზე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებულია სწორი გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია არ იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დაცვის მხარის მიერ არ არის დაცული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, რომლის გათვალისწინებითაც საგამომიებო კოლეგიის შეფასებით წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე და 219-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად



მართლზომიერად უთხრა უარი დაცვის მხარეს მტკიცებულებათა სრულად დაშვების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, მე-7, 78-ე, 83-ე, 207-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ბრალდებულ ლ. წ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. გ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებამოსილ პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილი